მომხმარებლის სახელმძღვანელო

PAX A8900 Android

Contents

1.1 ტერმინალის ვიზუალი 3
1.2 კომპლექტაცია 3
1.3 ტერმინალის ჩართვა/გამორთვა 3
1.4 ქაღალდის შეცვლა 4
1.5 მთავარი მენიუ 4
1.6 პარამეტრები 5
1.7 გადახდა 5
1.8 თანხის დაბრუნება (Reversal) 6
1.9 თანხის დაბრუნება (Refund) 6
2.0 ქვითრის ასლის ბეჭდვა ქვითრის ნომრით მიხედვით 7
2.1 ბოლო ქვითრის ასლის ბეჭდვა 7
2.2 დღის ანგარიში 7
2.3 დღის დახურვა 8
2.4 პრეავტორიზაცია (თანხის დარეზერვება) 8
2.5 პრეავტორიზაციის დადასტურება 9
2.6 პრეავტორიზაციის გაუქმება 9

1.1 ტერმინალის ვიზუალი



1.2 კომპლექტაცია

- დამტენი მოწყობილობა;
- კვების კაბელი;
- აკუმულატორი;
- თერმული ქაღალდი.

1.3 ტერმინალის ჩართვა/გამორთვა

ტერმინალის ჩასართავად, დააჭირეთ ტერმინალის მარცხენა გვერდით მდებარე ღილაკს 2-3 წამის განმავლობაში, სანამ არ განათდება ეკრანი.

ტერმინალის გამოსართავად, დააჭირეთ ტერმინალის მარცხენა გვერდით მდებარე ღილაკს 2-3 წამის განმავლობაში, რის შემდეგაც ეკრანზე გამოტანილი ღილაკებიდან „Power off” და “Restart”- ვაწვებით Power off -ს და ვთიშავთ ტერმინალს. თუ გვინდა ტერმინალის გადატვირთვა ვირჩევთ “Restart”-ს.

1.4 ქაღალდის შეცვლა

კონტეინერის გასაღებად, ეკრანის ზედა ნაწილთან არსებული საფარი მოქაჩეთ ჯერ თქვენი მიმართულებით, ხოლო შემდეგ აწიეთ ზევით, ჩადეთ ქაღალდის ახალი შეკვრა და დახურეთ საფარი.



1.5 მთავარი მენიუ

ეკრანის განსაბლოკად, შეეხეთ ეკრანს თითით და გაასრიალეთ.

შედით სამუშაო მენიუში გადახდების მისაღებად (ფოტო 1):

ფოტო #1

1.6 პარამეტრები

პარამეტრების მენიუდან (ფოტო 2) შესაძლებელია ტერმინალზე აპლიკაციის ინტერფეისის ენის შეცვლა „ინტერფეისის ენა“ ჩანართის მეშვეობით (ფოტო 3)

ფოტო #2



ფოტო #3

1.7 გადახდა

- სამუშაო მენიუში გამოტანილ ეკრანზე აკრიფეთ გადასახდელი თანხა. შეცდომის შემთხვევაში, თანხის დასაკორექტირებლად გამოიყენეთ კორექტირების „x“ ღილაკი.
- გაატარეთ ბარათი, ტერმინალის ეკრანზე დადებით, ჩიპურ წამკითხველში ბარათის (ჩიპით წინ) მოთავსებით ან ბარათის მაგნიტური ზოლის წამკითხველ ღარში ჩამოტარებით; (თითოეული ბარათის წამკითხველის ადგილმდებარეობა დაკონკრეტებულია ვიზუალის ფოტოზე)
- პინ-კოდის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიყვანოს ბარათის პინ კოდი;
- დაადასტურეთ გადახდა „გადაიხადე“ ღილაკის მეშვეობით;
- დაელოდეთ ქვითარს.
- წარმატებული ოპერაციის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება შეტყობინება “ტრანზაქცია დადასტურებულია”, დაიბეჭდება ქვითრები.
- წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება შეტყობინება „ურაყოფილია”, დაიბეჭდება ქვითრები

1.8 თანხის დაბრუნება (Reversal)

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ქანჩის ღილაკს (ფოტო 4) ;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „გაუქმება“ (ფოტო 5) ;
- ეკრანზე გამოტანილ ველებში შეავსეთ „თანხა“ და გასაუქმებელი „ქვითრის ნომერი“ (ფოტო 6), დააჭირეთ ღილაკს „გაუქმება“ ;
- ტერმინალზე მიადეთ/შეიყვანეთ ბარათი, რომლითაც შესრულებულია გადახდის ოპერაცია;
- წარმატებული ოპერაციის შემდეგ, გამოდის შეტყობინება „ტრანზაქცია დადასტურებულია” და იბეჭდება ქვითრები. წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ გამოდის შეტყობინება „უარყოფილია“ .

ფოტო #4

ფოტო #5



ფოტო #6

1.9 თანხის დაბრუნება (Refund)

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ქანჩის ღილაკს (ფოტო 7) ;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „დაბრუნება“ (ფოტო 8) ;
- ეკრანზე გამოტანილ ველებში შეავსეთ „ტრანზაქციის თანხა“, „RRN ნომერი“, “ავტორიზაციის კოდი“, და „დასაბრუნებელი თანხა“ გასაუქმებელი ქვითრის მიხედვით (ფოტო 9), დააჭირეთ ღილაკს „დაბრუნება“ ;
- ტერმინალზე მიადეთ/შეიყვანეთ ბარათი, რომლითაც შესრულებულია გადახდის ოპერაცია;
- წარმატებული ოპერაციის შემდეგ, გამოდის შეტყობინება „ტრანზაქცია დადასტურებულია” და იბეჭდება ქვითრები. წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ გამოდის შეტყობინება „უარყოფილია“.

ფოტო #7

ფოტო #8



ფოტო #9

2.0 ქვითრის ასლის ბეჭდვა ქვითრის ნომრით მიხედვით

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ანგარიშების ღილაკს;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „ქვითრის ასლი ნომრით“ ;
- გამოტანილ ფანჯარაში ჩაწერეთ ქვითრის ნომერი, რომლის ბეჭდვაც გსურთ;
- დააჭირეთ „OK” ღილაკს;
- დაელოდეთ ქვითარს.

2.1 ბოლო ქვითრის ასლის ბეჭდვა

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ანგარიშების ღილაკს;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „ბოლო ქვითრის ასლი“ ;
- დაელოდეთ ქვითარს.

2.2 დღის ანგარიში

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ანგარიშების ღილაკს;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „მოკლე ანგარიში“ (დღის მოკლე შეჯამება) ან „სრული ანგარიში“ (დღის სრული შეჯამება) ;
- დააჭირეთ „OK” ღილაკს;
- დაელოდეთ ქვითარს.

2.3 დღის დახურვა

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ქანჩის ღილაკს;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „დღის დახურვა“ ;
- დაელოდეთ ქვითარს;
- წარმატებული დღის დახურვის შემთხვევაში გამოვა შეტყობინება “დადასტურებულია”

დღის დახურვა ტერმინალზე სრულდება ავტომატურად, 24 საათის განმავლობაში ერთხელ, წინასწარ დაპროგრამებულ დროს. საჭიროების შემთხვევაში კი შესაძლებელია ხელითაც, ნებისმიერ დროს.

2.4 პრეავტორიზაცია (თანხის დარეზერვება)

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ქანჩის ღილაკს (ფოტო 7) ;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „პრეავტორიზაცია“ (ფოტო 10) ;
- აკრიფეთ თანხა;
- დააჭირეთ „ავტორიზაციის შესრულება“-ს;
- გაატარეთ ბარათი ან
- აირჩიეთ „გადახდის სხვა მეთოდის არჩევა“ (ფოტო 11)
- დააჭირეთ „Input card manually” (ფოტო 12);
- გამოტანილ ფანჯარაში შეავსეთ ბარათის მონაცემები (ბარათის სრული ნომერი და ბარათის მოქმედების ვადა) (ფოტო 13);
- დააჭირეთ დადასტურება „Confirm” ღილაკს;
- დაელოდეთ ქვითარს.

ფოტო #10



ფოტო #11

ფოტო #12

ფოტო #13

2.5 პრეავტორიზაციის დადასტურება

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ქანჩის ღილაკს (ფოტო 7) ;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „ანგარიშწორების დასრულება“ (ფოტო 14) ;
- გამოტანილ ფანჯარაში აკრიფეთ ავტორიზაციის კოდი და დააჭირეთ „განვაგრძოთ?“ ღილაკს (ფოტო 15);
- გამოტანილ ფანჯარაში აკრიფეთ თანხა და დააჭირეთ „ანგარიშსწორების დასრულება“-ს (ფოტო 16) ;
- გაატარეთ ბარათი ან აირჩიეთ „გადახდის სხვა მეთოდის არჩევა“ იმის მიხედვით რა მეთოდითაც შესრულდა პრეავტორიზაციის ტრანზაქცია;
- „გადახდის სხვა მეთოდის არჩევა“ -ის შემთხვევაში დააჭირეთ „Input card manually”, გამოტანილ ფანჯარაში შეავსეთ ბარათის მონაცემები (ბარათის სრული ნომერი და ბარათის მოქმედების ვადა);
- დაელოდეთ ქვითარს;
- პრეავტორიზაციის დადასტურების წარმატებით დასრულების შემთხვევაში ქვითარზე გამოვა შეტყობინება „დადასტურებულია“ (ფოტო 17).

ფოტო #14



ფოტო #15



ფოტო #16

ფოტო #17



2.6 პრეავტორიზაციის გაუქმება

- სამუშაო მენიუში დააჭირეთ ქანჩის ღილაკს ;
- ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ „გაუქმება“ (ფოტო 5) ;
- ეკრანზე გამოტანილ ველებში შეავსეთ „თანხა“ და გასაუქმებელი „ქვითრის ნომერი“ (ფოტო 6), დააჭირეთ ღილაკს „გაუქმება“ ;
- გაატარეთ ბარათი ან აირჩიეთ „გადახდის სხვა მეთოდის არჩევა“ იმის მიხედვით რა მეთოდითაც შესრულდა პრეავტორიზაციის ტრანზაქცია;
- დაელოდეთ ქვითარს.